



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000062129689217

№ ს-1023

29 / დეკემბერი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, პირის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ვ¹“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის #139 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, პირის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) კომისიის თავმჯდომარე - მერის მოადგილე მარინა ზურაბიშვილი;
- ბ) თავმჯდომარის მოადგილე - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ანა მამაგვიშვილი;
- გ) კომისიის მდივანი - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამუნა კვიციანი. კომისიის მდივანი კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს წევრის სტატუსით და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით.

დ) კომისიის წევრები:

- დ.ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის სკარებულს წევრი - დავით პაპიაშვილი;
- დ.ბ) მცხეთის მუნიციპალიტეტის სკარებულს წევრი - ჯონდო მუზაშვილი;

- 2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
- 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მის: (მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

